

ირინა ჭელიძე

შედეგზე ორიენტირებული შემაჯამებელი სამუშაო

„მომეცით საყრდენი წერტილი და მე დავძრავ დედამიწას!“. არქიმედეს ამ ფრაზიდან გამომდინარე ჩემს საყრდენ წერტილად, რომელსაც სასწავლო პროცესის მკვეთრად გაუმჯობესება შეუძლია, მიმაჩნია მოსწავლის მოტივაცია და ინტერესი შესასრულებელი სამუშაოს მიმართ.

რამდენიმე დღის წინ მოსწავლის პაპამ დარდიანად მითხრა - ბავშვი სახლში რომ მოდის, იმის მაგივრად, რომ დედამ ჰკითხოს, რა ნიშანი მიიღეო, ეკითხება, როგორი, რამდენად საინტერესო დღე გქონდაო. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კითხვაა, რადგან სკოლაში მიღებული განცდები და ემოციები განაპირობებენ მოსწავლის წარმატებას. თუ მოსწავლე გრძნობს სასწავლო გარემოს პოზიტიურობას, სასწავლო პროცესის მიმართ ინტერესს, შედარებით ადვილად აღწევს დასახულ სასწავლო მიზნებს. თუ გზა განსაზღვრული მიზნიდან მისაღწევ შედეგამდე გაჯერებული იქნება მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობით, აქტიური სკაფოლდინგით და გავითვალისწინებთ მოსწავლის საჭიროებას, მივიღებთ 21-ე საუკუნის მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას.

მოსწავლეზე ორიენტირებული, დიფერენცირებული სწავლების დაიან ჰიქოქსისეული განმარტებით : „დიფერენცირებული სწავლება ნიშნავს სწავლების ტემპის, სირთულის ან მეთოდის ცვლას თითოეული მოსწავლის საჭიროების, სწავლის სტილის ან ინტერესების მიხედვით.“ ამიტომ, ვფიქრობ, ყურადღების გამახვილება მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებაზე თანამედროვე განათლების მოთხოვნაა. ამ დროს მოსწავლე მეტად თვითდაჯერებული, მოტივირებული, და მიზანმიმართულია. როგორც იცით, ბუნებისმეტყველება დაწყებით კლასებში რამდენიმე ძირითად, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ მიმართულებას - მეცნიერულ კვლევა-ძიებას, ცოცხალ სამყაროს, სხეულებსა და მოვლენებს, დედამიწასა და გარესამყაროს - მოიცავს, ეს ერთმხრივ კარგიცაა, რადგან მოსწავლეებისთვის საინტერესო და არამომბეზრებელია სხვადასხვა თემაზე მუშაობა, მეორე მხრივ, იწვევს გარკვეულ დაბნეულობას და უჭირთ შესწავლილი მასალის ერთმანეთთან დაკავშირება.

ინტერესის აღძვრა და გათვალისწინება პირდაპირპროპორციულია მოტივაციის აღძვრისა. მოტივაციის ასამაღლებელი სტრატეგიებიდან პრაქტიკაში გამოცდილ ერთ-ერთ ფაქტორზე გავამახვილებ ყურადღებას, ეს არის სასწავლო მიზნების მოსწავლეებისთვის გაცნობა. სასწავლო მიზანი დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის უნდა იყოს კონკრეტული, მკაფიოდ -მათთვის გასაგებ ენაზე ფორმულირებული და აუცილებლად საინტერესო. თუ მოსწავლეებს გავაცნობთ, რომ სასწავლო თემის მიზანია „კონტინენტების გეოგრაფიის შესწავლა და შემაჯამებელი დავალება იქნება ტესტი“, ვფიქრობ, ეს ვერ აღძრავს ინტერესს, მაგრამ თუ ვიტყვით, რომ თემის მიზანია კონტინენტების გეოგრაფიის შესწავლის გზით ვირტუალური მოგზაურობა სხვადასხვა კონტინენტზე და შემაჯამებელ დავალებად მათ უნდა „ჩამოაყალიბონ“ ტურისტული კომპანია, დაამზადონ სარეკლამო ბუკლეტი, იყვნენ გიდები მათ მიერ არჩეულ კონტინენტზე და წარუდგინონ ნაშრომი კლასს, მოსწავლეები ინტერესით ჩაერთვებიან სასწავლო აქტივობაში, დაიწყებენ ფიქრს, გაანალიზებენ და იმსჯელებენ მოცემულ თემაზე.

დაწყებით კლასებში ბუნებისმეტყველების სწავლისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება იმ ღირებულებების, დამოკიდებულებებისა და ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც მოსწავლეს განუვითარებს სწორ დამოკიდებულებას გარემოს მიმართ, გაუჩინს ნებისმიერ ასაკში გარემოს დაცვასა და აღდგენასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების სურვილს. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს როგორც საკლასო, ასევე შემაჯამებელი სამუშაოს განხორციელებისას.

ე.ს.გ. -ში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სტანდარტში მოცემულია შემაჯამებელი დავალების ტიპები, რომელიც უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესში -

“ შემაჯამებელი დავალების ტიპები: საველე/გასვლითი სამუშაო, კვლევითი სამუშაო, მოდელის შექმნა, ინდივიდუალურ/ჯგუფურ პროექტზე მუშაობა, პრეზენტაცია, ტესტი და სხვა.

სასწავლო წლის განმავლობაში აუცილებელია გამოყენებულ იქნეს შემაჯამებელი დავალების სხვადასხვა ტიპი.“ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას შემაჯამებელი სამუშაოების გამრავალფეროვნება აქტუალური საკითხია. მიმაჩნია, სასწავლო პროცესში შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვნება მეტ სტიმულს,

მოტივაციას აძლევს მოსწავლეებს და ამაღლებს სწავლა - სწავლების ხარისხს. დაწყებით კლასებში მნიშვნელოვანია ისწავლონ და შეაჯამონ მასალა როგორც კეთებით, ასევე მიზნობრივი მოსმენით და ვიზუალიზაციით.

შემაჯამებელი სამუშაოების გაანალიზების შემდეგ შემიძლია ვთქვა, რომ მოსწავლეთა მიღწევები დამოკიდებულია თემის შესწავლის დროს გაკეთებულ აქცენტებზე, დავაკვირდი, რომ მე-5 და მე-6 კლასელები მეტი ენთუზიაზმით ეკიდებიან შემაჯამებელს, რომელიც არის წარმოდგენილი არგუმენტირებული ესეს, პრეზენტაციის ან პროექტის სახით, რაც არ გამოირიცხავს სასწავლო წლის განმავლობაში საინტერესოდ შედგენილ ტესტზე მუშაობას.

ამიტომ მოსწავლეებს შემაჯამებელ დავალებად ჰქონდათ მოდელის შექმნა - „ჩემი კუნძულის რუკა“, „კოსმოსი“, პროექტები - „ჩემი ეკოლოგიური ნაკვალევი“ (<http://eiec.gov.ge/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/Environmental-Education/Documents/Publication/%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98.aspx>) „ტურისტული კომპანია კოსმოსში“, „ჩემი მოგზაურობა...“, ნარკვევი - „საფრთხეები ჩვენ ირგვლივ“, „როგორ დავიცვათ გარემო“ და სხვა.

ამ თემაზე დაფიქრების შემდეგ მეექვსეკლასელ მოსწავლეებს შემაჯამებელ დავალებად შევთავაზე პროექტის ფარგლებში კითხვარის „ჩემი ეკოლოგიური ნაკვალევი“ შევსება და დასკვნის გამოტანა. შემაჯამებელი დავალების ჩაბარების თარიღის შესახებ ინფორმაცია მივაწოდე 2 კვირით ადრე, იქვე მივუთითე შეფასების კრიტერიუმები და კონკრეტული ვებგვერდები, სადაც შეიძლებოდა მათთვის საჭირო ინფორმაციის მოძიება. ქალაქის ეკონომიის მიზნით, მოსწავლეებს ვთხოვე, ელექტრონული ჟურნალის გზით მიწოდებული კითხვარი არ ამოებეჭდათ, არამედ ამოეწერათ მხოლოდ პასუხები, დაეთვალათ მთლიანი ქულა. შემდეგი ნაბიჯი იყო დავალება - მათ უნდა დაეწერათ თხზულება, სადაც იმსჯელებდნენ მიღებულ პასუხზე, გამოყოფდნენ პრობლემას და ჩამოაყალიბებდნენ გადაჭრის გზებს. კითხვარში ყურადღება გამახვილებულია საკითხებზე მოსწავლეების ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებიდან: წყლის გამოყენება, ტრანსპორტი, საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, ენერჯის მოხმარება და სხვა. კითხვარის შევსების, პრობლემის იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზის მოძიებაში ისინი თავისუფლები იყვნენ. მოსწავლეს, რომელიც აწყდებოდა გარკვეულ პრობლემას, ვუწევდი შესაბამის დახმარებას. კითხვარის შევსებამ და „საჭირო დედამიწების“

რაოდენობამ მოსწავლეებში დიდი ემოცია და ინტერესი გამოიწვია, მნიშვნელოვნად დააფიქრა გარემოსდაცვით პრობლემებზე, მიახვედრა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ ასაკში გააზრებული გარემოსდაცვითი ქმედება.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, თუ რა ინტერესით ეცნობოდნენ მოსწავლეები ერთმანეთის ნამუშევრებს.

ჯამი

გადაიტანე შენი კატეგორიების ქულები შესაბამის სექციაში და შთლიანი ქულის დასათვლელად შეკრიბე ისინი

	წყლის გამოყენება:	
	ტრანსპორტი:	
	საკვები:	
	სახსოვრებალი:	
	ტანსაცმელი:	
	ენერჯის მოხარება:	
	სხვა:	

შთლიანი ქულა _____ : 300 = _____ დიდაშია

თუ ყველა იხსოვრება იხი, რომდრც შივ, ჩვივ დავგვირდვირდა _____ დიდაშია

საწირო დიდაშიის რაოდენობა გააზრავლი 0.4-ში და მიიღებ შინის ფართობს (კვიტრებაში, რომილიც საწიროა შივი ხსოვრების ხშილხსივინს: _____ ჰა

ეს თემა შეესაბამება ე.ს.გ.-ს მიზანს - **ბუნ.VI.10.მოსწავლეს შეუძლია გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება, მათი მნიშვნელობის აღწერა და დასაბუთება.**

სასწავლო პროცესში მოსწავლის ინტერესის აღძვრით შემოქმედებითი აზროვნების განვითარება მნიშვნელოვანია სწავლების ყველა საფეხურზე და ყველა საგანში. ამ მიმართების განვითარება შესაძლებელია მასწავლებლის მიერ შემოქმედებითი გარემოს კლიმატის შექმნით, როდესაც არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები, წახალისებულია ინოვაცია და ინდივიდუალიზმი. შემოქმედებითი აზროვნების ნიმუშები შეიძლება ვნახოთ ღია დავალებებში, გონებრივ იერში, პრობლემაზე ორიენტირებულ გაკვეთილებსა თუ პროექტებში. შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელ აქტივობად მიმაჩნია პროექტით სწავლება.

საინტერესო საკითხზე მუშაობის დროს მოსწავლეებს უვითარდებათ მაღალი სააზროვნო უნარები, ისინი შეძლებენ ნასწავლი მასალის ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას. მასწავლებელმა ამ დროს უნდა მოახდინოს ფასილიტაცია, მისცეს მიმართულება. მოსწავლეებს მივცეთ განსაზღვრული ვებმულები ინფორმაციის მოსაძიებლად. ასევე, მნიშვნელოვანია მოსწავლეებს ჰქონდეთ თემის დამოუკიდებელი არჩევანის საშუალება. შემოქმედებითი უნარების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სწავლა არის ნაკლებად სტრესული, მოსწავლეების ინტერესსა და მოტივაციაზე დაყრდნობილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა. *მუხლი 73. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ზოგადი ნაწილი.*
2. ხუნძაყაშვილი მარიანა, ბევერი სარა. *განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება.*
3. „ჩემი ეკოლოგიური ნაკვალევი“ - <http://eiec.gov.ge/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/Environmental-Education/Documents/Publication/%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98.aspx>